

მეცხრე

საყოველ-კვირბა ლიტერატურული და მსატერობითი კასეთი.

30 მარტს ბ ა მ ო ი ც ე მ ა № 13 კ ვ ი რ ა ო ბ ი თ 1886 წ ო ლ ს ა .

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მსნეთი, ნსსეკარ წლით სსმი (3) მსნეთი, სსგა ვადით სელის მონაწერა ზრ მიიღება. ცაღკე ნომერი „თეატრი“-სა ლინს სსმი შაურა. სელის მონაწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭდაქეების წიგნის მალაზიაში. გატეჟე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

არწრუნისულ თეატრში

კვირას, 30 მარტს.

მართული დრამატული საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იქნება

ს ა ლ ი ტ მ რ ა ტ უ რ ო

სალამო

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. საფაროვი-სასიძის, გაბუნია-ცაგარლისა და ბ.ბ. თ. რაფ. ურისთაი, თ. ავაგი წერეთელი, ან. ქუთათელაძე. ზ. უმიკაშვილი, ნიკ. ავალიშვილი, ვ. ანაშიძე, დ. აწურელი, ვ. გუნიას და

მართული ხორო

მართული წარმოდგენები მეთორამეტე

საუკუნეში *)

II

ახლა ჩვენ რომ ვსწერთ: „მოქმედება პირველი“, მაშინ უწერიათ „სახის მოქმედება“; „ვამოქმედოთა“ — „მასახის მეტყველოთა“.

ამ წარმოდგენებზე თ. ავალოვს დაუწერია ერთი ლექსი, რომელიც მას პირველს და შემდეგ წარმოდგენებზე სიმღერით წარმოუთქვამს ხოლმე. აი ის ლექსი:

*) იხილეთ „თეატრი“ № 12.

მე სახეველნი იგი ჩემნი დავაშრე წიგნთა წერიტა,

ზოგთა ჩემით მოქმედებულზე, ზოგთ ზე სახვით ვაღმონაწერითა; მსმენელთ ვევედრები ნუ მკიცხვენ ამა ლექსის მღერიტა, არ დაიშლიან, მაჩვენონ, იგი თუ ემსახურე მე რითა!

თუ ხართ ვინმე მოსურნენი თეატრს სმენად ანუ ცნობად, შეიმატებთ განდიდებას, ბოძებთა აგებთ თქვენად მჯობად; მრიდებთ უსამართლოთ, ჩემებრივ მწერთა ცუდად გმობად, არ დაიშლით, ჰგავს არ რიდებთ თქვენთან გლახა გულთ ლახვრად სობად!

მერწმუნენით არ მას ეუბნობ, მქონდეს მეტი მისკენ ვრდობა, მაგრამ მწადის განინრება, კიცხვითა და ქვემო რჩობა, ნუ იკადრებთ გაცხადებით, იქონიოთ ჩემზე წყრომა, დაიშალოთ, თუ რომ სჯობდეს მლიქვენლობა, ქვე ქვე ძრომა.

1873 წ. აახეთს თ. ძობულოვებში ვაგივე მინაარსი საქართველოში პირველად წარმოდგენილი კამედიის „მეფე თეიმურაზისა“.

თეიმურაზი საფლავილამ წარმოდგება ერთ კაცს

დაიჭერს და ეტყვის: კაცო, შენ ბრმა მიღუაშვილი არა ხარ? ეს რეები ჩაგიცვამსო? იქათ კიდევ სხვა მოქალაქე პირებს ჩაავლებს ხელსა, რომლებმაც ერთ ჟამს ევროპაში უმოგზაურიათ და იმათებური ტანისამოსი ჩაუცვამთ. შემდეგ თემურაზი ამბობს: ჰი გიდი საქართველოვ, საქართველოვ და საქართველოს ხალხოვო, მაგრამ ჰე! შეილო ირაკლი, შენი იმედი მაქვს, რო ჩვენ საყვარელ ხალხს სიმართლით უპატრონებ და არ შეაქმვე თათრებს ბატონებივითაო! და სხვა.

ამ წარმოდგენაში მიუღია ერთ მღვდელს მონაწილეობა, რომელისთვისაც სამღვდლოებს მისთვის დენა დაუწყია და ამ მღვდელსაც მაშინდელს ერთ ეპისკოპოსზე ლექსი გამოუღია; ზოგნი იძახიან, მითომ ეს სიონის დეკანოზი თუ მღვდელი ძანდელაკი ყოფილა; ზოგნი კი ამბობენ, ვილაცა იოსები იყოფო. ბი ეს ლექსიც ქართლის მთავარ არხიეპისკოპოსზე:

ღოსითვოს არქიერი ბოლოსა,
მინ იქნება იმას დაეტოლოსა,
მინდორს წავა, დაკრეფს ბევრს ღოლოსა,
მონეშია დაიკრამს კარგს ღოლოსა.

ჰამის წირვას გადისდის ქებასა,
წინ გაიძღვის დიავანს საბასა!
მე დამიშლის შესვლას პალატასა ...

პალატას ეძახდენ თურმე მაშინ იმ სახლს, სადაც წარმოდგენები ჰქონიათ ხოლმე. წარმოდგენები გაგქედებულა 1795 წლამდის, ვიდრე წყეული ალამაჰად ხანი დაეცემოდა ობილისს. და როდესაც ეს დაცეა ობილისს და ქალაქი ააოხრა, წარმოდგენებიც მოიპო. მოგვხსენებათ, რომ ამის შემდეგ მეფე მრეკლე დასწეულა, სამეფო სახლში შური ასტყდა, ერთობა დაერღვათ და საზოგადო საქმეების აღმსრულებელი კაცებიც სრულიად დაიხოცნენ და გაიქცამოიქცნენ.

ის კამედიები რა იქნა — ეს არაინ იცის; 1830 წელს რომ ქალაქში სოლომონ ღოდაევის რედაქტორობით ქართული სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა გამოცხადდა, მაშინ წარმოუდგენიათ ის ძველი ღრამები დიდ ზიორგი მრისთავისა და დიმიტრი ბაგრატიანისა. ამბობენ ეს კამედიები იმ ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყვნენ, მაგრამ სხვა-და-სხვა შემთხვევებისა გამო 1832 წ. ჟურნალი დაიხურა და ვერც ის პიესები დაბეჭდილა; ამ ჟურნალისა სუ ოთხი ნომერი გამოვიდა პირველს წელიწადს; დახურვის შემდეგ თვითონ რედაქტორიც პოლიტიკური საქმეების

გამო, რუსეთს გაგზავნეს დასასჯელად, რედაქტორი დახურეს და, არა თუ ის პიესები, არამედ სხვა მრავალი სტატიებიც და თხზულებებიც დაკარგულა. იძახიან, ვითომც სხვათა შორის იმ რედაქტორის ზოგიერთი სტატიები ერთ ვილაცა თულაშვილს ჩავარდნია ხელში; მაგრამ ისიც მომკვდარა და ყოველის ფერი დაკარგულა.

შემო მოხსენებული პიესების შესახებ, ამას წინეთ ჟურნალ „ივერიაშია“ სწერდა ძ. ძიფიანი და კარგი იქნება, რომ სხვებმაც მიაქციონ ყურადღება და ეგები რამე სხვა ცნობები და თვით პიესებიც მოვიპოვოთ.

(დასასრული იქნება)



და
დასაფსულა და აქევაგა
სამურად ტურფა ია;
ბუქის ძირას დამამუქნი,
გულისათვის სამოთხესა.

მაგრამ მასც მოუფა დრო,
და მოუქამს ძირსა ჭია;—
ჩვენი ბედიც იას წავგას
ამ ჩვენ მუხსთად სოფელშია.

თეატრის მუშა.

(Handwritten signature and notes)

თ. ალ. ჭავჭავაძის ორი დაუბეჭდავი ლექსი *)

I

ვაჭმე გულო, რა ვყო წამლად წელულისა,
არ გაქეს სასო მისგან შენ საღბუნისა;
შენ შობილსარ ტრეფობად მნათთა იშვითთა
და იგი დისს შენგან სიყვარულისა.

II

რას სიკვდილი, რას მისი საშინელება!
თუ კაცი ლისისა მოშორდება—ჭირსაც მორჩება.

*) ეს ორი ლექსი ერთ ძველ ლექსთა კრებაში მოვიპოვეთ.

საქმნადა

მთვარის შუქი შენსა ფანჯრებს,
მით სატრფო ეალერსება;
მითქო იგიც აშიყობით
რაღაცს გთხოვს და გეაჯება.

და მეც მასთან ფანჯარის ქვეშ,
სატრფოვ! ესდგევარ შემოგცქერი;
რომ შეღირსოს შენი ნახვა
და მით გავხდე ბედნიერი.

რა მისწყდება ფენისა ხმა
და ევლსაც ჩაეძინება,
მხოლოდ მაშინ ერთის წამით
შენი ხილვის მომეც ნება...

რომ მით დაესტებ და გიმღერო
სიყვარულის სერენადა;
მგებ გულში შთაგინერგო
საამური ხმა ტბილადა.

ველის-ჩახეჯი.

გაზეთი „ივერია“ და მისი მნა.

აღვიღათ წარმოსადგენი არ არი ის მოუთმენ-
ლობა და აღტაცებული სიხარული, რომელსაც ჩვენ
ეგრძნობდით გაზ. „ივერიის“ გამოსვლის წინა დღეებ-
ში. მანსაკუთრებით პირველ იანვარს ნაშუადღევს
ოთხი საათიდან ქალაქის ბაღს არ მოეშორებოდით
და მოუთმენლად გავიყურებოდით ვაგზალისაკენ —
როდის იქნება მატარებლის კიყინა მოგვესმას და ფოს-
ტის ზარის რაწკა-რაწკიო. მოვიდა ფოსტა, მოიტანა
ყურნალ-გაზეთები, მაგრამ ჩვენ გულ-დაწყვეტილნი
დავბრუნდით შინ. „ივერია“ აღარ იყო!

— ეს კი არ არის კარგი ნიშანი? მე არის რე-
დაქციის უთაურობა, ცუდი დასაწყისიაო, და მრავა-
ლი მსგავსი უკმაყოფილება მოისმოდა ყველა ხელის-
მომწერთაგან და საზოგადოთ მკითხველთაგან.

ზამართლდა ეს უკმაყოფილება. მივიღეთ, რო-
გორც იქნა, პირველი ნომერი, წაეკითხეთ ყურად-
ღებით თავიდან ბოლომდის, მაგრამ ვაი ამ წაკითხ-
ვას და—უფრო სამართლიანი იქნება ესთქვათ—უი
იმ წაკითხულს!.. «მოგეტება ძვალი»! მოგეტება ძვა-
ლი, როგორც ამბობს ერთი პატივცემული პირი ყო-

ველს იმისთანა ძვალ-მომტებს საგანზე, როგორც გა-
მოღვა გაზეთი «ივერია».

წაეკითხეთ და ვიტკვლიცეთ თავში ხელი! მართ
საათს გონზე არ მოესულვართ, თავბრუ დაგვესხა და
სისხლი ყელს მოგვადგა: გავიგუდეთ, გავიგუდეთ!
სოტალა დაგვაკლდა, თორემ კინალამ დავიხჩით!..
რა იყო მიზეზი?—მნა! ბაზეიადებული კილო, გაბე-
რილი სიტყვები, გაპრტყელებული ენა! სხვილ-სხვი-
ლი, უშველ-უშველვებელი სიტყვები! ასე უშველვებ-
ელი ვგონებ არც ის რძალი ყოფილა, რომელსაც,
ხალხის თქმულობით, „ასი ალაბი სარტყელი წელ-
ზედ არ შემოსწვდენია“!

პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში ავტორი
ამბობს, რომ ჩვენ ორ გვარი მკითხველი უნდა და-
ვაკმაყოფილოთ: ერთი ინტელიგენტი და მეორე ან-
ბანთ მწყურვალისა, მაგრამ „ჩვენ უფრო ანბანთ მწყურ-
ვალთაკენ გადავიხრებით(!). მაშასადამე ჩვენის გაზე-
თის სიკეთე ყველაზედ უწინარეს ჯერ ამ თვლით
უნდა გაიზომებოდესო!“ მნახოთ, რამდენათ გაამართ-
ლა ავტორმა ეგ დაპირება და რამდენათ დააკმაყოფი-
ლა ზემოხსენებული მკითხველები. მართი ეს ვიკით-
ხოთ: ნება აქვს ზემო მოყვანილი სტრიქონების დამ-
წერს სთქვას, რომ «ანბანთ მწყურვალთაკენ გადა-
ვიხრებითო (გადავიხრებით)? ნეტაი თუ ესმის ავტორს,
რა ენით უნდა ელაპარაკო იმ უსუსურ ბავშს, რომ-
მელსაც ჯერ ანბანიც არ დაუწყია? ნუ თუ იმ გვარი
ენით, იმ გვარი კილოთი, როგორც, მაგალითებრ,
შემდეგია:

„კაცობრიობის დიდებულთა ნაღვეწთა თირკმ-
ლები რომ გაუსინჯოთ (ფუ ამისთანა ზრდილობასაც!
მთუ თქვენ არ გეზიზღებთ ყველაფერში ხელის რევა,
სხვები მაინც შეიბრალებთ!), მთელის კაცობრიობის
ანოვანს პროგრესს თავიდან ბოლომდე გონების ნეს-
ტარი გაუტაროთ (მეტფორაც ასე უნდა! შუა საუ-
კუნოების ერთი რუსის მწერალი მაგონდება, ისიც
აგრე სწერს: «Грызть зусами чрева моего»), ნახეთ,
რომ ყოველივე ეს მართლა-და დიდებული ნაომარი
კაცობრიობის ხელისა, გონებისა და მხნეობისა სხვა
არა არის-რა, თუ არ ძლივე-მოსილი სელა კაცებურ
(ებურ!) ღირსებათა გრძნობის აღსამატებლად მიმარ-
თული“... (№ 1).

მხ, ღმერთო! ჰაერი, ჰაერი, თორემ ლამის
დავიხჩეთ! რომელი საუკუნის ენაა ეს? ალბათ, მეცხ-
რამეტე საუკუნის ქრისტეს წინათ, თორემ ქრისტეს
შემდეგ მეცხრამეტე საუკუნეში ამისთანა სულთა-
მხუთავი ენა?! მერმე ისიც ამისთანა დროს...

ბი ამ ენის და ამასთანავე, რა საკვირველია, ში-
ნაარსის მახინჯობამ ჩვენც აგვალბინა ხელი გაზეთის

უმეტესი ნაწილიდამ, ჩვენ, რომელთაც, სხვა თუ არა, ანბანი მაინც, მაღლობა ლმერთს, კი გვისწავლია. მაშ ვიკითხოთ: როგორ გაიგოს ანბანთ მწყურვალმა ის, რაც ანბანთ მტოდნეს არ ესმის? მაშ რისთვის ცოდვილობს ეგ მამაცხონებული მეთაურისტი და რისთვის ჰბერავს ამ გულს? ნეტაი ვისი შეილება ეს გაბერილ-გაბერილი სტატიები? ნათქვამია: „ღედა ნახე, მამა ნახე—შვილი ისე გამოანხე“, და მართლა კარგათ ჩაუბრუნებულ-ჩასუქებული უნდა იყოს ის მშობელი, რომელმაც ასე სოლო-სოლო შეილები შეა. ალბათ, ზოგიერთი ბუშიც კი ურევია შიგ, მაგრამ ჩვენ მაინც ასე ვიკით, რომ—ილიამ შეა «ივერია»...

სანამ შინაარსს შევეხებოდეთ, ჯერ კიდევ ენაზე შევჩერდეთ. ძილოს თავი დავანებოთ, ამიტომ რომ კარგი კილოს ქონებისათვის კარგი ნიჭის ქონება საჭირო. ჩვენ მხოლოდ იმ ანბანის შესახებ ვიტყვი, რომლის სწავლებასაც ჰპირდება „ივერის“ რედაქცია მკითხველს. მართალი ენის სწავლება დღეს ჩვენს სკოლებში ისე დამცირებულია და მიკრუებული, რომ მკითხველი საზოგადოების უმეტესი ნაწილი იძულებულია თავისით შეისწავლოს ენის ფორმები და კანონები, საკითხავი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების საშუალებით. ამ უკანასკნელთა წმიდა მოვალეობაა სწორად კანონიერი ენით, მტკიცეთ დიციუნ გრამატიკის წესი და კანონი. გრამატიკა ერთი იმ ანბანთაგანია, რაცა «ივერის» რედაქციამ, დაპირებისამებრ, უნდა «გარდაჰყაროს ანბანთ მწყურვალთავენ». მაგრამ—მაგარი ის არის, რომ «ივერის» რედაქციას, პატრიარხ-რედაქტორიდამ დაწყებული უკანასკნელ მის მღვდელთნე-ღიაკნამდის, ეს ანბანი არ სცოდნია და, მამასადამე, რაც თვით არ იცი, სხვას რას ასწავლი? «ქავეს არ ჰქონდა—ჩხიკეს გაჰქონდა!»

ლიტონ სიტყვებთ რომ არ ჩამომართვან ეს სიტყვები. დავიწყით მოწინავე სტატიებიდამ და ამოვსწერთ შეცდომები.

პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში სწერია: „როცა გაივლის ისე, რომ არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩეს“. პეტარს არ სცოდნია, რომ დროებას ერთმანეთში შეთანხმება უნდა, და შეთანხმების წესი ამ გვარია: გაივლის ისე, რომ არ უმტყუნებს, არ ჩამოურჩება; ან ასე: გაივროს ისე, რომ არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩეს; გაივროს ისე, რომ არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩეს და სს. იქვე სწერია: „შეუწონამ“: ეს არის ანბანის უცოდინრობა! ზმნისაგან შეუწონა მყოფადი დრო იქნება მე შეუწონაჲ, შენ შეუწონაჲ, და არა შეუწონამ; ზმნისაგან დაქრთამვა: მე დაჰქრთამაჲ, და არა დაქრთამამ; კითხვა: მე ვიკითხაჲ, და არა ვიკითხამ, როგორც ხმარობს მღვდელთნე—

ღიაკნათაგან შემდგარი „ივერის“ რედაქცია. მ—ს ბოლოში მხოლოდ ის ზმნები მიიღებენ, რომელთაც დასაწყისში მა აქვს დაბოლოება: შეჰმა-შეჰმა, შესმა-შესმა, ღთჰმა—ღთჰმა და სს. იმავე სტატიის ავტორი ხმარობს: «ვისმეს», «რასმეს»! ვინმე, რამე: ნათეს—ვისიმე, რისიმე, მიცემ—ვისიმე, რასიმე, და არა ვისმეს, რასმეს: მიცემითი ბრუნვის მაჩვენებელი ასო ს შუაში არის და ბოლოს კიდევ ს რის მახინალა?

იმავე ნომრის ფელეტონში ნახმარია ფორმა აჟუგკვათ! მე სწორეთ ავლაბრის გრამატიკის კანონის ძალით უხმარია ავტორს! აგება: მე აჟუგე, შენ აჟუგე, და არა აუგევი. იქვე სწერია: „დაჰქრთამამ“ (შენ), უნდა იყოს „დაჰქრთამე“. იქვე დომხალიეთ არეულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმები: «ჩავარდნილ ქართველ კიცის», „ქართველ ლიტერატორის“ «აქაურის ექიმებისაგან»! პრევე-დარევა არაფრის არ ვარგა თუ ზედსართავ სახელს (и. прилагагелное) ნათესაობით ბრუნვაში ჰყვეცავ დაბოლოებას, ყოველთვის უნდა მოჰყვეცო, თუ არა და ყოველთვის უნდა შეათანხმო არსებით სახელს, ან ერთი და ან მეორე. ხან „კაცობრიობის დიდებულთა ნაღვაჲთა (თათათა!) თირკმლებს“ უსინჯადენ და ლამის სულ ფა-შუ-შუში გამოაცალონ და ხან «ქართველ ლიტერატორისაო!» ბი ასე მოხთება ყოველთვის, როცა კაცს გზა გარკვეული არა გაქვს და ბრმასავით დაეცეცები.

იმავე ფელტონში ნახმარია: „შეჩვეულვართ“, „მოქცეულვიყავ“! უნდა იყოს შესვეულვართ, მოქცეულვიყავ, ამიტომ რომ ეგ ფორმა რთულია და შედგება მიმღობისაგან და შემწობითი ზმნისაგან; შეჩვევა: მიმღობა—შესვეული, აქედამ შესვეული ვარ, შესვეულვარ; აგრეთვე მოქცევა: მოქცეული, მოქცეულვარ, მოქცეულვიყავ და სს.

ბი რამდენი შეცდომა არის ორ სტატიაში, იმისთანა შეცდომა, რომლის უარყოფაც უმეტრებათ ჩვეთლება უარყოფელს. სხვა წერილმანი შეცდომა ურიცხვია, მაგრამ ყველა რომ ჩამოეთვალო, შორს წავალთ.

ხსენებული სტატიები ყოველივე ღირსებათა თუ უღირსობით, ყველა შეცდომებით, როგორც სჩანს, ეკუთვნის თვით დიდებულ პატრიარხს, რომელმაც «შეა ივერია». საცა თვით პატრიარხს არ სცოდნია ჩვეულებრივი წირვა-და-ლოცვა და ალილილია დიდება შენდა, მისს მაჩანჩალა ღიაკნებს როგორ უნდა გავეუმტყუნოთ, რომ დავითნი ვერ წაიკითხონ ხერიანათ? მაგრამ ამ ღიაკნებისა და თვით პატრიარხის საყურადღებოთ ჩვენ კიდევ ამოვსწერთ რამდენსამე

შეტომას, რომელსაც მოვკარით თვალი აქა-იქ უბრალო გადაფურცლის და გადათალიერების დროს.

პირველ ნომერშივე (შორს წასვლა არ გვჭირია: ერთ ნომერშიაც საკმაოდ მოიპოვება რედაქციის სისუსტისა და უმეცრების ნიშნები) ნარკვევის ავტორი სწერს, „მას აქედ“-ო და შემდეგ კი იქვე ხმარობს: „ეგრეთ წოდებული“, „მესატყობა-თ“ და სხ. აი სწორეთ ეგ არის და და მხალი ერთათ არეული! სადაც არ არის საჭირო და იქ ხმარობს, და სადაც უფრო შესაფერია, იქ არა. იმავე ნარკვევში სწერია: «შადლოთ», «შაუძლია!» ჰაი, ჰაი! შაუძლია, შენმა მზემაცა და! შაუძლია! საკვირველია ამ ზოგიერთი ამერლების ყოფა-ქცევა: რასაც ავლადარში გაიგონებენ, ასე ჰგონიათ, ყველაფერი მართალიაო. ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ამერულ კილოს მეტი ადგილი სჭერია და უნდა ეჭიროს ჩვენს ლიტერატურულ ენაში, მინამ იმერულს, მაგრამ იმერული კილო, იმერული ელემენტი ისე აუცილებელი საჭიროა ჩვენს ლიტერატურული ენისათვის, როგორც თევზისთვის წყალი, ცხოველისთვის ჰაერი. ჩვენი ენა დაწმენილი და გამშვენიერებული მაშინ ყოფილა, როდესაც ჩვენში ერთობა ყოფილა, როდესაც იმერსა და ამერს შორის გარჩევა არ ყოფილა, როდესაც კარგსა და მშვენიერს იმერულსაც მოწონება ჰქონია და ამერულსაც. ბარდაკითხვით მეთორმეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა და მაშინ დარწმუნდებით, რა მნიშვნელობაც ჰქონია იმერულ ელემენტს. ჩვენა გვრწამს, რომ იმერული კილო ამსუბუქებს ჩვენს ენას, აკვლუტებს მას და პოეტურ სილამაზეს აძლევს; უამისოთ ქართული ენა ისე გაზვიადებული, პრეტყელი, ტლანქი და მძიმე იქნებოდა, როგორც ნეტარ ხსენებულის ანტონ კათალიკოზის ენა და, თუ გნებავსთ, ახლანდელი «ივერიის» ენა («ივერია» ძლიერ ჰმაძავს ანტონს და კიდევაც სესხულობს იქედამ სიტყვებსა და ასოებს, როგორც მაგალ. სიტყვა მკურვე, ასო ზ, სრულიად შეუფერებელი ჩვენი ენისათვის, და სხვ.) ჩვენა გვრწამს, რომ ცალკე არც იმერული ენა და არც ამერული: ლიტერატურული ენა უნდა იყოს შეზავებული ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის მშვენიერი ფორმებისა და სიტყვებისაგან და მხოლოდ მაშინ იქნება იგი ლამაზი, მშვენიერი, კეთილ-ხმოვანი. მაგრამ ამისათვის საჭიროა კარგი ინსტინქტი, კარგი გემოვნება; გემოვნება უნდა გქონდეს კაცს გახსნილი და მხოლოდ მაშინ გაარჩევ, რომ შაილუკა და შაიდა უწინა ფორმაა. მანა არ შაიძლება, ბატონებო, რომ იხმაროთ: შეიძლება, შევიდა, შეიტანა და სხვ.. გემოვნებამ თუ გილაღატათ, გონება მაინც რათ გაუშვით განზე? და თუ ორივე გილაღატობსთ, ამ გვარ

მძიმე ტვირთს რათ იდებთ თავზე? ხსენებული ზმნების დასაწყისი შადლება, შასვლა და შატანა კი არ არის, არამედ შეკლუა, შესკლა და შეკლანა: მაშასადამე, ეგ შაილუკა საიდგანა ვაკეთდა?

«ივერიის» დიაკვნებს რომ ხეირიანი გემოვნება ჰქონდესთ, არც ამ ფორმას მოიწონებდნენ: შავკავადებურ-ლუარსაბებური, სულელებურ-დიაკვნებური ანუ ბახტად-ქიფშიძ-კატასუნებური და სხ. მაგრამ რა გეთქმის კაცს, როცა ამ ებურებურამდის რედაქცია მიუყვანია მეცნიერულ გამოკვლევას? რაში მდგომარეობს ეგ მეცნიერული გამოკვლევა, გსურსთ გაიგოთ? — ბუღია ერთ დიაკვნს ძველი სამოციქულო და ბევრი ჩხრეკის შემდეგ წასწყდომია ფორმას «ქმებური» და გარდაუწყვეტია, რომ ამას შემდეგ ხონელებურიც შეიძლება და ქარაფშუტებურიცო!.. მინა სთქვა, რომ ჩვენ მეცნიერები არა გვჯავსო და არაფერს არ იკვლევინო?! მხოლოდ ერთი გვაკვირებს, — ერთ სამოციქულოში ესეც სწერია: „თუკის ყოველთა სულელთა დიაკონთაო“ და რატომ არ გამოაქვეყნა მეცნიერმა დიაკონმა ეს კანონიც? მსეც ხომ დიაკვნური (უკაცრაგათ: დიაკვნებურებური!) მეცნიერული (კიდევ ბოდიშს ვიხდი: მეცნიერებურებური!) გამოკვლევა იქნებოდა და ამით ის სახელს მოიხვეჭდა?.. მხ, თქვე მართლაც და დიაკვნებო და დიაკვნებურებო!

აი კიდევ იმავე ნარკვევის ავტორი-დიაკონი რა ფორმას ხმარობს: „რამეთი“-ო! ძარგათ დაისწავლეთ, დიაკვნებო, ეგ ბრუნვები: რამე, რისმე, რასმე, რითმე, რათმე (რადმე) და სხ.

ნეტაი ერთი მაინც ერიოს ამ დიაკვნებში (იმისთანა, რომ გრამმატიკის ანბანი იცოდეს. იქნება ამ ხონელმა დიაკონმა იცოდეს რამე? მაგრამ რა განხუმრებსთ? დიაკონი, სადაურიც უნდა იყოს, მაინც დიაკონია... „ქუთაისელიო“, სწერს იგი „ქუთათური“-ს და „ქუთათელი“-ს მაგიერ; „ჩვენ დაუთმოთ“: უნდა იყოს დაუთმოთ; „ავაზაკებურო“-ო (ქარაფშუტებურო)! და მრ. სხ. ესწუხვარ, რომ თან არა მაქვს ის ნომრები, რომლებშიაც ყბად-ასადების წყალ-წასადები ავტორი სწერს. არა მაქვს იმიტომ, რომ იმ ნომრებს ყველაზე უწინ ვგზავნი საიქიოს... ბრამმატიკა არც ამ დიაკონმა იცის, მაგრამ ერთი ღირსება მაინც აქვს იმის ენას: ადვილათ გაიგებ კაცი, თუ რასა სწერს, სხვებსავეთ ფილოსოფიური გარეგნობით არ ჰვარავს სისულელეს და ადვილათ ხედავ მკითხველი, რომ ის ყოველთვის აჭია-ბაჭიობს და ლობე-ყორეს ედება.

მით ნომერშიაც საკმაოდ ვიპოვნეთ ჩვენ შეცდომები, მაგრამ დიაკვნების საყურადღებოთ კიდევ

მოვიყვანთ ზოგიერთ შეტომებს, რასაც კი გავიხსენებთ ზეპირათ.

— «ღირს რამდენიმე მილიონი» (უნდა იყოს «მილიონად»: რა ღირს?—სახლი; რად, რამდენად? — მილიონად. იხილე მეფეების-ტყაოსანშიაღ: «და რა ტურთა გაიფედეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად». — «მსწავლეული» (უნდა იყოს სწავლეული): ხენა (ხნვა) — ხნული, რგვა—რგული, კრა (კრვა)—კრული და სხვ. თავში მ მხოლოდ მოქმედებითი გვარის მიმღეობას უზის და არა ენებითისას: მ-ასწავლებელი, მ-აშენებელი, მ-ხენელი და სხ.—«მღეთის, მღეთებრივი»: ღმერთი—ღეთის, ღეთება—ღეთებრივი: მ რისლა მ-ჩანჩალაა?—«მოველოდლი»: მოველი—მოველი-ოდი, დავრბი—დავრბ-ოდი, ვერთ-ი—ვერთ-ოდი და სხ. მეორე დ რის მატრაკვეცია?—«დავიწყობ, დავიწყობ-ლი» (უნდა იყოს: დავიწყებ, დავიწყებდი). რედაქცია ისე ბრძა, რომ ამ ორს, სულ სხვა-და-სხვა მნიშვნელობის ზმნას ვერ არჩევს: დაწყობა ნიშნავს რიგრიგათ დადებას, დადგომას (შემას ვაწყობ, ჯარი ეწყობა) და დაწყება—თავიდან მოყოლას (მე ვიწყებ წერას, საქმე კარგათ იწყება).

აი კიდევ დროთა შეუთანხმებლობის ნიმუშები (№ 30):

დაწერეს:

ოთქმის სამასი აფიცერი რუსეთის ჯარისა ბოლგარიას მიხენილი ჰქანდა (ჰყავდა უფრო კანონიერი არ არის)? რუსეთისგან, რომ ბოლგარიას ჯარი გაუწყოს, მოუპართოს, გაუწურთოს.

უნდა იყოს:

მიხენილი ჰყავდა, ჰყოლია, რომ გავწყო; მიხენილი ჰყავს, ეყოლება, რომ გაუწყოს, მოუპართოს და სხ.

სწერა:

ოთ ბოლგარია ან სერბია რუსეთის პოლიტიკის მომხრეობას გასწვეს, მაშინ ატეტრია რუსეთის წინაშე მეტად სუსტი იქნებოდა.

უნდა იყოს:

ოთ გასწვევენ—სუსტი იქნება; თუ გასწვედენ, რომ გავწიათ—სუსტი იქნებოდა.

სიღოჯან.

(შემდეგი იქნება)

დედის ტირილი

I

შიშანობა იყო. მისი მიწურვილიყო; ბუნებას ის იყო დაქსრულებინა თავის შვენება, ტანთ ჩაეცვა ია-ატლასი. მზე საშუადლო წყით დაქტქროდა მომღიმარ ქვეყანას. ერთის სისლის ბანსკად საფეკავი იყო გაფენილი; იქვე ასლო სავრილი იყო გამაროული; რომელშიც ივდა ასალ-გაზდა დედა თავის ჰატარა შეიჯით. აკერ ჰატარა ავი მოქმოდდა დედას, რასლაც ეწვება. „ნუ მოქდისარ, ნუ გენაცვალს დედა, ჩემო სილაღე, ჩემო იმელო, აქ მოდი აქ თავის დედა თანა“.

ბავშვა აიღო ნაფოტი. და „და-და“-ს ძსილით მობობდა. დედა წამოავლო იმას ხელი, ჯერ გულსკედ მიიკრა და მერე, დაყარა-რა სიტყუბი: „გენაცვალე, გეწამლე, თავს შემოგველე, ჩაგეტოლე, ჩემო შეიჯო, ჩემო წილო, —დაისვა მუსლებსკედ, დაუწყო ზანუქი და მასთან წყუწუნი:

„აბე, რა ბუტაუი არის
„ეს ჩემი გმ რი შეილია!
„ფეხსკვდაც დავა ვაუკაცი,
„ამოუვიდა კილია.
„შენა ხარ დედის წილ-ბედი,
„და იმის ოქროს დილია!
„რად უშვის დამწვარსა,
„რა მოქვლავს დედა-შენსაო?
„გადავიდებ სირიშსა,
„ხმალს შემოირტუემ წელსაო;
„გადასვალ, გამაიტაცებ
„დადისტინთ ლეკის სელსაო
„უშენოდ არც მზე მყობდეს,
„ვარსკვლავნი დაგსაროდენო;
„შენთვის დნებოდენ იანი,
„თავებსა ისტოდენო.
„შენამც შექრები დედასა,
„მოვარეო, ქვეწის ოდენო!
„არწივი კვიღს დაიწეებ,
„მზე ამოქჩნდები სადარო;
„თარეშს დააკრავ გორებსა,
„სად მთები გადაიარო.
„სისსლს არ შეარჩენ ჭარკლთა,
„განა, უებრო მსედარო?!
„მერვინ იტყოდეს აუგსა,
„იყო აღალი ქედანი.
„თავი მომქონდეს შეილითა,
„შემომნატრიდენ დედანი...“

განა არ გამოცრუებ იმედს, ჩემო სილაღე, ყველაფერს

ამისრულეპ? — „ბაბა, და-და“ — ტიტინებდა ბავში. — (ზუ-
ლი, ბაბა გინდა, ჩემო დამმარსკვლო?) ერთხელ კიდე
გაქანსურჩავა დედამ შვილი, კიდე უთხრა სიძლურა:

„დასუდრე თავის გამზდელი
„თავის ჰაწაწა ტოტებით;
„დატკუნე იმის საფლაკი
„თავის ლამაზის ფეფებით“.—

დასვა საბანსედ და გაიქცა სასლში. რა დედა წა-
ვიდა, ბავში ერთი წაში კიდე ივდა საგრძელში, მერე
ადგა და გაბობდა იქით ბანსედ. ამ დროს მთის არ-
წივი გამოსულყო სახადიროდ. რა ბავში თავ-დანებუ-
ბული ნასა, ერთი კი იჭესა და ჩამოეშვა. დედას შეჭს-
წვდა ტყვა, გაიგო რა ცისას არ ჰგანდა და გამოვარ-
და გარეთ, — იმის საყვარელ შვილს ლაშ-დადებული არ-
წივი-კი მიაჭანებდა კლდეებისაკე! საბრალო დედამ ერთი-კი
დაიკივლა, ვაჭმე, მიშველეთო, და გულ-შემოყრილი დაეცა;
ფიცსლავ წამოხტა, სხვა ვედარაფერ მთასეკსა-რს და გა-
მოუდგა არწივს... ტყე-გორების მადლა მიფრინავს არ-
წივი... მის სადმე გზა იკლავება და ტყე-ტყე სიარუ-
ლით ივარება მთა-კუდებში. იმაზედ მიწის გავიქებული
დედა და შეჭსდავს არწივს. ბოლოს ფრინველი სრულ დაი-
კარგა თვალთვან. ესლა კი მოჭსდავს დედას ცრემლი
და დაიწეებს სმა მადლივ ტირილს. ცრემლში და სისლ-
ში გაბანსრული იქ ყვავილს დაეფეთება, რომელ გზის
პირს ამოჩენილ და თითქო გლავის ნიშნად დაუსრავ
ლამაზი თავი, შეჭტირებს:

„ტანად და პირად ლამაზო,
„გთხვო ერთ წამ თავი აიღო;
„მოკლე სიცოცხლეს გაფიცე,
„ძითხრა, სიკეთე გაიღო.
„არწივმა შვილი გამტაცა,
„რა უფა, საით წაიღო?“

ცის ნამით ნახარდმა თავი აიღო, შესხერა დედას
ტურფა თვლები, ამოფშენა და ნიავს შეჭრთო უკვდა-
ვების სენელი. უთხრა: „ეგ შენი ტირილი

„ქვასაც შეწვდება მდუმარეს;
„რო ჰგითხო, ისიც განმობს,
„დედას რო ჰნასავს მტირალეს;
„მინარეს გამოადვიებს,
„ალაზარაკებს მდინარეს.
„მე არ ვიცი, ვერც ვიტყვი,
„არცა-რს დამიუბდნია.
„რა მიწამ აღმოამცენა,
„მადლა არ ამისედნია“.

ყვავილმა თავი ისევ დაიღო. დედა გაჭდა. შორს
წვალნი იძღვრინ, მთანი სმას იძღვრინ, სამუშ-სამუშ
ფურცელნი სეებუდ ირსეიან. ქარი დაუბრავს, გაჭფან-
ტავს შელამქრებულ ტყის წვრებს და შეჭს ხაყეებს
უკუნეთში მიმრამ ბილივს: იქ ჰდგას დიდი წიფელის
სე, ცალ გვერდზედ იმას დაჭსნია ჩაშულ-ჩაყეთ-
ლებული სავსი, იმის ფულურაში ჩიტს ბუდე ჰქო-
ნია, დაფურენია ბარტეები, დაუსამ გზასედ გამაწვდილ
შტოხედ, დაფრინავს, დაჭვივის და არის იმათ ალერსში.
მის ჰდგას ცრემლით დაკალებული დედა და შეჭტირის:

„შემომხედე, შეპობრადე,
„იცო—მითხარ, ჩემო დო!
„არწივს ხო არვინ მიჭქონდა,
„ხო არვინ მიტირიდაო?
„დედა ვერ ეშველებოდა,
„და ის კი ექსლდაო?“

ჩიტე ერთი-კი ჩამოაჭქორდა, მერე თავის შვილებში
გადანტა, ჩაუვდა შუაში და ჩამოჭქვივდა:

„გვირილამ გამოიარა
შვირეკმა შარა-გზისამა.
ვაჭმე რო ვერა ვკითხე-რა,
მხემა ემ შვილებისამა.
ნუ დამემობ, ვერ გეწამლო
დაგწავს ცეტსლებურ ალია;
მანც ნუ ჰდგესარ, საწვლო,
გზა მიწვივ საშურალია.“

დედა ვაებით და პირისოკით გაუდგა გზას.

II

ავერ საჭლადოდ დასსეუბილ—გორ-გურინს თსილიან-
ნი რო მიჭდამს და მურინანს მოკეიდება, კელ-ტყიანის
პირში განბრდნულ არვის სეებს თავის თეთრი ტოტები
ბუმბულავანი ტირიფისთვის რო გადაუფარება, იქ ჰვის
კიბურს სეებსედ:

წვარო ჰატარა,
წვამ-წვამ ანკარა,
წვრილ ჩანჩქარა,
მოჭქრის ჩქარ-ჩქარა.

მოჭქრის, მოხსრიალებს და მოტირის სმა მადლივ:
«ვაჭმე, მიშველეთ, წამბილწეს, წამბილწეს!» ანახლად გა-
მომალბული დედა კი წამოაწვდება და, გაივონებს-რს
იმის ჩივილს, დაეფეთება:

„ცოვო, ცივის კლდის ნადენო.

„წანწკართ ჩამომდინარე,
 „რაც იგი ნუ დამიძლავე,
 „დარდი მეც გამიზიარე...
 „წყარო ვის გაუგონია
 „თვალეებს ცრემლ-ჩამომდინარე?“

წყარო ჩიოდა:

— „ბაშვი ტირიდა,
 აწვივს მიჭქინდა,
 სისხლი ჩაჭკარდა“.

დედა გამტკნარდა,
 ენა ჩაჭკარდა.

— „ამოდეგ მარდა,
 რა დაგემართა?

გზა წაგემართა.
 აწვივს ა იმ

კლდეებს მიჭმართა...“

დედამ ვურც კა გაიგო, როგორ მიიჭრა კლდე-
 თან,—მაგრამ ის თქვენმა მტკრმა ნასოს, რაც იმან
 ნას: აწვივი იკადა ერთ თვალ-მიუწდომ კლდის ზე-
 ტარს კინჭუნსედ თავის ბუდის ზინას, გადაეფინა იმის
 შეიღისთვის შეწითლებული მსრები და ჭგლევდა...
 გამტკრებული დედა მიუყვალა კლდეს ძირში და და-
 უწყო ასედა. ყოჩნები ისეკვა; სვაკები წრე-ვლებით არე-
 ვიან ჭკარში; შაკარდენი დაჭკვივის თავსედ, კლდის მერცხ-
 ლები ყვილ-სივილობენ, წითელ-ნისკარტა *) ტკეპი ექანე-
 ბიან; ყავირი არხინად შაილ-გაივლის კლდის მიდამო;
 მთის ლეგა მიმინო კისვისებს. მალღითგან გადმოჭჩქებს
 ცაგი ნაკადული და ეღვრება დედას თავსედ... მაგრამ ის
 ამეებს ვერაფერს ჭსკადავს, ვერაფერსა ჭტმნობს და ეუბ-
 ნება აწვივს:

„აწვიო, მომძალე სილადესა,
 „გულსედ ნისლები გადმიყარე.
 „შეჭსდე ცისა სიმაღლესა,
 „ძვალეები მინც გადმოყარე!

„კიდე დაურწოს აკვანი,
 „გიდეკა ნასოს დედამ შვილი...
 „და სრულის ძვლებით გაინაროს,
 „მბებ არ დაელიოს წილი.

„შთებო, კლდეებო, გასგეწებით
 „გიორგი კარგა შემინასოთ!
 „ბრანო ლოგინი დაუგოდით,
 „ძვებო, აკვანი დაურწოდით,

*) ჭკა-პიის ჭილ-ყვავი (Алпийская ворона) ყავირი
 თეთრი ფრინველია, ერთის შეხედვით სვავს მოაგონებს კაცს.

„იტიროს, კიდეც უძღეროდით—
 „ის თქვენთვის ჩამიბარები!...“


„ქორწილს აზირებს ჩემი შვილი,
 „ყოჩნები მყარად გაჭყუებიან.
 „ჩემნი შეილ-რძალნი მასინისა
 „როგო ტურფანი დასდებიან!
 „ასლა ლაშქრობას ემზადება,
 „უშალე და ვერ დაუშალე.
 „წავა და აღარც დაბრუნდება,
 „სიკვდილო, მოდი, ჩამომძალე!

„ბეგრჯელამც ენასავს დედა-შენი
 „ნამარს, მოსულს ლაშქრობითა...
 „შენთვის გაქარ-წულდეს დედა-შენი,
 „შვილო, მშვიდობით, მშვიდობითა!“

აწვივამც შეჭამა ბაშვი, დედამც გაათავა ტირილი,
 და ამ მდგომარეობაში ამოუვიდა სული. ესლაც ის გაჭ-
 ვაგებული ჭდგას და შეჭსედავს იმ ადგილს, სადაც აწვივმა
 იმის გიორგის ამოჭმარა ლამაზი თვალეები...

გაუკვავ დროებას. გაჭკავებული ისეკ იქა ჭდგას. მაგრამ
 უამს თვისი უქნა: გაჭკავებულს ლეგ-ლეგა სავსი დაჭსშია,
 და ლურჯი ლიბრი გადაჭკვრია; კლდე უფრო დაშლიდა
 და გაკინჭუნისანებულა. ერთი რამ ძრიელ ნაზი და წგრი-
 ლი მტენარე ამოსულა აწვივის ნაბუდარში და კლდეგედ
 ჩამოშვებულა; ერთი კიდე გაზდილა გაჭკვებულის თავსედ
 და მალდა ამართულა. ეს ორი მტენარე შუა-კლდეგედ
 ერთმანეთს გადაჭსკვივის და დღესაც ისე არიან.

ბახანა.



ახალი ამბები

◆ ჩვენ შეეიტყეთ, რომ ჩვენის დამსახურებუ-
 ლის და პატივცემულის ისტორიკოსის ღმიტრი ბაქ-
 რაძის ნაწერების შეკრებას შესდგომიან. გეაწობებენ,
 რომ პატივცემულს ბაქრაძეს განძრახვა აქვს, რომ
 თვისი ყველა ნაწერები ცალკე წიგნებად გამოცეცს.
 ნაწარმოებთ შეკრება ჯერ გათავებული არ არისო და
 რაც არის შეკრებილი ქართულს ენაზე ყველა ამათი
 რიცხვი 1500 გვერდზედ მეტიაო.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ ორის წლის
 წინად პატივცემულმა ალექსანდრე მასიკოპოზმა სულ-
 ხან საბა მოზბელიანის მოგზაურობის ბეჭდვა დაიწ-
 ყო. ეს მოგზაურობა დაბეჭდილია 1852 წ. ყურნალ
 «სისკრის» წიგნებში. მასაწყისი აკლია, რაის გამო
 «სისკრის» რედაქცია აცხადებს, რომ თავი ამ მოგ-

ზაურობის ვერ მოვიპოვეთო შევიტყეთ, რომ ახალი გამოცემაც (სისკრიდამ) იბეჭდებოდა და დასაწყისიც აკლიაო.

ამ მოკლე ხანში თბილისში უკვე აღმოჩნდა სრული მოგზაურობა საბა მრბელიანისა და უეჭველია, რომ ამ ხელთ ნაწერიდამ შეავსებენ ნაკლსა და ისე გამოსცემენ ახალ გამოცემას.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ სტალრების საამხანაგო მაგაზინის თხოვნა თბილისის გუბერნატორს შეუწყნარებია და დამტკიცებას დაჰპირებია.

◆ დიდი სამადლობელო ხმები ისმის ავლაბრის წმიდა მარინის მღვდლის სოლომონ შეშვივის შესახებ, მისგან დაარსებულ საეკლესიო სამრევლო სკოლის გამო, სადაც საკმარისი რიცხვი სწავლობსო, როგორც ვაჟების ისევე ქალებისო. ყმაწვილების რიცხვი სრულიად ქართველებისაგინ შესდგებაო.

◆ ჩვენ გვაცნობეს, რომ ორს ახალგაზდა ქართველ ყმაწვილებს შემდეგი წიგნები უთარგმნიათ: 1, ინსტიტუტი ღარინის თეორიით და 2, ხმარობენ თუ არა ურიები ქრისტიანის სისხლს, სტატია პროფესორის ხეოლსონისა. მრივე ეს თარგმანი დასაბეჭდათ არიან მომზადებულნიო.

◆ ამ დღეებში ჩვენ ენახეთ ბ. ანდრია ბენაშვილისაგან შედგენილი ქართული ნოტები, რომელიც ამოჭრილია ქვაზე ბატონი ბრ. ტატიშვილისაგან. ამოჭრილია მშვენიერად და დაბეჭდილია ლამაზად. სწორედ მადლობის ღირსია, როგორც ბ. ბენაშვილი, ისევე ბრ. ტატივეი.

ბამოცემა ამ ორ დღეში მზად იქნება და გამოვა გასასყიდათ.

◆ ხშირად საჩივარი ისმის ხოლმე ჩვენს გაზეთებში მკითხველ-მარჩიელებზედ, რომლებიც უწყალოთ ჰყელეფენ და ატყუებენ სოფლის უმცარ ხალხს. მაგრამ არც თვით ქალაქელები ჩამორჩებიან ხოლმე ამ საქმეში სოფლელებს. აი ამ ცოტა ხანში ქ. მორსაც ეწვია ერთი თბილისელი ჯადოქარი მკითხავი, რომელიც ერთობ იზიდავს აქაურს უმცარს ხალხს თავის თვალთ-მაქცობით და მატყუარობით.

ბ ა ლ ი

(მოგონება)

მამა ჩემი თითქმის მოსუტეული იყო, მაგრამ სიარული ძრეულ უეჭარდა და ბუკრჯელ იქაშდისინ გაერთობოდა სოღმე, რომ მთელი დღე სრულებით დადიოდა. სან ვენახში მიდიოდა, სან მინდვრისაკენ გასწევდა სოღმე და, ასე და ამ რიგათ მამა ჩემი, უოკელთისინ დასეირობდა თავის ჭრელი ჯოხითა და სოგოკერ მეტ დამანხნალებდა სოღმე თავისთან.

ერთ ზათესულის მშვენიერ სელამოს, როდესაც მთავრე სამურათ მოჭეუნს სოღმე სოიულს თავის მერთად ნათელს, მე და მამა ჩემი ბლეკონსუდ ჩაისა ვსვამდით და სიამოვნებით უეურებდით ჩვენ წინ, შარა გზასუდ ვენახებიდგან სიმღერით მომავალ მუშის გუნდსა. ამ დროს მომიბურუნდა მამა ჩემი და მითხრა: „შვილო, სკალ დილით ტყეში წაგიყვან-ო“. ვერ წარმოადგენთ ჩემს სისარულს, თუ რა რიგად გამასარა მამი ჩემის იმ სიტყვებში! მე ჩემს დღეში ტყე არ მენახა, თუძცა ვი ათის წლის მეტი ვიყავი. მართალია ბუკრჯელ გამეგო ტყის სასელი, ბუკრჯელ დამეგლო უური გლეხ-კაცების ტყესუდ დაზარავისათვის, მაგრამ მე ვი არ ვიცოდი, რა იყო ტყე და რა სასასუე სურათს წარმოადგენდა იგი თავის ასეთ ზატარასსელით—ტყე.

ხო მომეტებულათ უფრო იმან გამასარა, რომ ესლანამდვილათ ტყეს ვნახავდი; ვნახავდი რა იყო იგი, როგორ იყო მოწუბილი და რა რიგი უნდა წარმოემდგინა შემდეგში, როდესაც გავიგებდი საღმე ი კვლათ იმის ასეთ ზატარასსელით—ტყე!

სისარულისაგან გატანებულმა, მე გულისდებულსუდ უფრო ადრე დავიძინე და სული მწარეთ მოკელიდი გათენესს. როდესაც არა ჩუულებრივ, მამლებმა იეავლეს თუ არა, მე თვალები მეჭეიტა ქვეშავებშია, ცოტა ხსნიც და მამა ჩემს სმა გამცა ასადგომათა... მე მანინათვე წამოვსტი ქვეშავებიდგან, ვერი ჩემ ტანთ-სადმელსა, რომელიც საჩქაროთ ჩავიცივი, დავიბანე შირი და ჩემის ზატარას ჯოხით, სრულებით გამზადებული ვიყავი. ჩემი ზატარას გომზარც თითქო მიგვისკდა წადილს, წამოსტა, რამდენჯერმე გაიბღრტა ურები და კულის ქნეით, თითქო გვესგვებოდა თან წაყვანასა. რაღა თქმა უნდა, რომ იმას შინ არ დავსტოვებდით და გავსეირებდით ტყეშია!

ამდლები თან-დი-თან უფრო უსშირებდენ ვივილს; ჩვენ ასე დიდსა და სმიან სოიულს, მამინ ტებილათ ჩასმინებოდა... მთვარეს საამურათ გადავიყინა ჩალურ სასლებსუდ თავისი სსავი და ვარსკვლავებით მოჭედილიც, მშვენიერ სასასავს წარმოადგენდა... ხი ამ დროს ჩვენ ვარცათ გამოვტილდით სოიულს და კიდევ ცოტა ხნის სისარულის შემდეგ, ჩუსვიეთ ზატარას ჭაღანსა და დაჯადე-

ქით დიდ-შარს გზას, რომლის ნაპირებსაც, სუენსოვით იყენებენ კუნთის ჯაგები ჩამომწერიკებუდნი.

— ეს არის მამილო ტყე? დაეკითხე მამიკემს და თვალს არ გამოკრები ზატარა ჯაგნანსა.

— არა შვილო, ეს ჭალა არის, მომიგო მამა ჩემმა და მიმიტო მინაბიკებდა იმ დიდ შარს-გზასზედ.

— განა ჭალა და ტყე სულ ერთი არ არის?

— არა შვილო და განაგრძო მამა ჩემმა: — «ჭალა ის არის, სადაც აი ასეთი ბუჩქნარი არის ატენილი და გამოსაყენებელს ვერას იზოვინს გრძი: ტყე კი სულ სხვაა შვილო: ტყე ისეთი დიდრინი სკებით არის სავსე, რომ იმათგან კაცს ყოვლის ფრთი შეუძლიან სარგებლობა: თუ შეშით, თუ ფინხით, თუ სასლის მასლით და ყველა ის საჭირიკება, რომელსაც მსოფლიო სე მოუნდება, ყველა ამას გამოკრებთ ტყეში და აი ამიტომაც ჭკინან ტყე.

დარიკების კილოთი ამისსა მამა ჩემმა და კვალად სულ წინ და მსოფლიო წინ მიკდიოდით იმ შარს გზასზედა.

კიდევ კარგა გზა გავიარეთ; მშენაც ამოაფინა თავის ოქროს იყერი სხივი და ტრიატი დილა საამურათ მორთო... აკურა უნებთ, ჩვენს მასლიბელ ბუჩქიდან და იფრთხილდა ტროლოლი, შეიძკარა ფრთა-ფრთასა და თოფის ტყვიასავით შეისრიალა მალა თვალ აუწვდებელ ცის სივრცეში, იქ ერთი რამდენჯერმე კიდევ დაუშტვინა თავისებურათ და კვალთ ტრიალით წამოვიდა ბუჩქებისაკენ. ამას მოჰქვია ასლა სხვა-და-სხვა ფრინველების სმა და ცოტა ხნის განმკლბაში სრულებით შესმაურეს ტყე და მინდარი... აკურა ჩვენ წინ გამოხნდენ საკმაოთ მალა სკები, რომელთა ცოტები ღაზათიანათ გადაჭლოდათ კარგა მანიბლზედა. იმ ჭალას, რომელზედაც დილას აქვით ზედ მაკდიოდით და იმ დიდრინ სკებს, მართლა რომ ბუერი განსხვავებს ჭკინან: ჭალა სავსე იყო დაბალი ბუჩქნარით, წვრილი მუხის სკებით და მკვარათა; მაგრამ ტყე, როგორც წინათვე მამა ჩემმა მითხრა, სავსე იყო მშენიერი სხვა-და-სხვა დიდრინის სკებით, რომელთაც საამურათ გადაეშალათ თავიანთ დიდრინ ცოტები და მათი ჩრდილი ვის არ შეიფარებდა. მუსუბამდისინ მწვანე ბალახი და ზოგიერთა ადგილს ღამაზა წყარო, სრულებით ამკობდენ ტყის ისეთაც სიმშენიერესა.

ესლა უფრო საიმოკნებით დამტკბარმა ძრიელ დაიწყო რბენა და სრულებით აინუმიოც არ მომდიოდა ჩემი დაღლილობა. აი საჩქაროთ ავარდი ერთ თხილის ცოტსზედ და ხარბად დავიკე ვიბუები; აკურა იქით წითელი ვაშლები თითქო თავიანთკენ მიწკვდენ და ძალათ ისრებდენ დაზვართული ცოტები... ერთი სიტყვით ძრიელ ბუერი რამ მოიპოვებოდა და ძრიელ რამ ბუერთ იყო ის ტყე სავსე. თხილი, წითელი, ვაშლი და ზოგო სომ, აურებული იყო!

მამა ჩემი ჩამომკვდარიყო ერთ ზატარა წყაროს პირსა და ჭებუსზედ ჩსრიალისაგან მარკალიცის მსგავს წინწკლებს, რაღაც საიმოკნებით დაჭურებდა ზედა. მეც მივირბინე, ავიკე მუჭა იმ ცივ წმინდა წყლით და თუცა კი არ მინდოდა, მაგრამ მაინც რაღაც საიმოკნებითა ვსვამდი; იქვე ჩემს მასლიბლათ, გომპარამაც ჩაყო წყალში თავის ზატარა იყები და თითქო გამოკვარებული იმანაც დაუწყო მშენიერ წყაროს სმა.

არ გავიარე ოცი ნაბიკი, რომ დიდრინ სკებში მე შევნიშნე ერთი ზატარა სე, რომელსაც საამურათ დაგსარა ცოტები და ზედ წვრილი თხილის ოდენი შავი ნაყოფი ბლამათ ესსა. შიკვლათ შორიდგან ვერ გავარნიერა სე იყო, მაგრამ როდესაც ახლოს მიკვდი, ვერ წამოიკვდით როგორ შევევრე განსრებულმა:

— მამილო, ბალი!

მამა ჩემი მომიხსლოდა და ხმის ამოულებლათ დამიწყო ყურებს. მე კი მოუთმენლად ვცდილობდი რომ აესულაფი ზედ და ერთი ღაზათიანათ გამომდარვიფავი იმ შავი ბლითა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, სე ისეთი ღიზი იყო, რომ ვერას გზით შეკმელ ზედ ასვლა. დაუწყო ასლა სკეწნა მამა ჩემსა, რომ ცოტა მაინც მოეტენს ჩემთვისა, იმან კვალთ ხმის ამოულებლათ, საჩქაროთ გამოსტრა ზატარა კავიანი ჯოსი და დამიწოდა საკმაოთ მოსრდილი ცოტა, რომელსაც ძრიელ ბუერი ესსა. მე სისარულთ მივარდი ცოტს და საჩქაროთ ავიკე მუჭა.

— ემცე გეყოფა შვილო, მითხრა მამა ჩემმა და ჩემდა საუბედუროთ გაუშო ცოტა სელიდგან. მე ეს ძრიელ გამეცა, მაგრამ მაინც სმა არ ამოვიღე და საიმოკნებით ჩავიყარე რამდენიმე მარცვლი პირში... ვერ არც კი დამედტნა სერიანად, რომ ერთი საშინლათ გამაყროლა ტანში და საჩქაროთ გამოკაფურთხე ბალი, შეიკლება კიდევ მოიპოვებოდეს რამ ნივთიერება იმაზედ უმწარესი? მე დღესაც დარწმუნებული ვარ რომ არა!

— კარგია, შვილო? სიცილით დამეკითხა მამა ჩემი.

— აი ნახე და იქამდისინ შემბუხრა იმ საბაკელ სიმწარემ თავი, რომ კინაღამ ტირილი დაიწყო. მამა ჩემმა გამომართვა ბალი და გადაყარა. მე კი მამინათვე გავიქეცი წყაროსაკენ პირის გამოსარცხათა, ბუერი ვიერცსე პირი, ბუერი ვაიფურთხე, მაგრამ მე არა მეშველა რა და საზარელი სიმწარე მაინც არა მშორდებოდა პირიდგანსა.

— ეს რა ეშმაკური ბალი იყო? თითქმის ბრაზ მოსული დაეკითხე მამა ჩემსა.

— ეც ბალი კი არა, შვილო, ბაღლოჯია, რომელიც მართლა რომ ძრიელა ჭკავს ბალას და განაგრძო ამასთანავე მამიკმა: — მართლდია, შვილო, ბაღლოჯის, როგორც სეს, სრული თვისება ბლისა აქვს, ბალი და ბაღლოჯი

ერთ დროს უგვიან, ერთ დროს ეწვეათ ნაყოფი, მკვრამ ბაღღაჯის ნაყოფი გვიანობამდე რჩება სესხედ; პირველათ — იმიტომ, რომ არავინ ჰქრეფს საშუალოთა, მეორეთ — რომ სორცული და გამძლე ღეროს მქონეს, ჰხვადე? მაიბითა მამხემა ბაღღაჯის სესხედ და განაგრძო კვალათ: — ყოველისფერი ბლესა აქეს: თუ სის ძირი, თუ ფერი, თუ ფოთლები, თუ ნაყოფი, რომელმაც აი ჯერ შენც მოგატყუო... ამასვე შეხვდები, შვილო, თითონ ჩვენს ხალხში, თითონ ჩვენს ამ ერთგვარს და არა ხასხარბოელა ცხოვრებაში! ჯერ ზატარა ხარ, მკვრამ როდესაც წამოიზრდები და შენც გაურევი საზოგადოებაში, დაავიკრდები მათ ცხოვრების მიმდინარეობას... ოჲ, ბებრი ამ გვარი ბაღღაჯის სენი შეხვდებიან, შვილო, მათში! ისინიც თავიანთ გარეგან შესხედულობით, ბაღღაჯის ბლესავით მოგიზიდავენ; თავიანთ თავებს ვითომც კეთილ საქმის მომქმედებათ გაგაცნობენ მკვრამ, რაკი დაუნალოვდები, შვილო, რაკი გაიციან ასედაც მათს თუ საქმის მიმდინარეობას, თუ გარეგან შესხედულობასთან იმის შესაფერ ცოტადენ სინამდვილესაც, რომელთაც შენ ასე მოგაწონეს თავები, რომელთაც რაღაც მანქანებისა და ყოვლის მომქმედ მალათ გაგაცნეს თავიანთ თავი, მამინ! ოს, მამინ! ამ გვართა შეგაყოფლებს ტანში მათი სიცრუე, შეუნიშნელი თავსედობა და იმავე რიგით შეიზიზღებ მათ გარეგნობას, როგორც ესლა ამ ბაღმა შეგაძულა თავი... ეცადე, შვილო, რომ კვალთ აღარ მოსტყუვდე, კვალთ აღარ მიგიზიდოს გარეგნობამ!..

ამას ჩემმა ამ ხასით გაათავა ლამარაკი; მხეც კარგათ გადისარა და გამოვსწიეთ შინისაგანა. ჩვენ კვალთ იმ გზასედა ამოვიარეთ და სადაც გი შემხვდებოდა წყარო ანუ გუბე, სხაქართ მივარდებოდი ხოლმე და კარგა ხანს ვირეცხამდი პირსა, რომელიც ისე სამკლათა მქონდა გამწარბული, რომ ტანში შეუწყოფლებათ ნერწყვიც გი ჯერ ჩამეულა; მკვრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, რომ მე ერთ კვირასაც ძლივს გამოვიღე ის სამკელი სიმწარე ზარიდგანა!

მას აქეთი კარგა ხანმა გაიარა... შემდეგ მეც ჩავერიე ჩვენს ესრეთ წოდებულ საზოგადოებაში და ჩავკვირდი მათ ცხოვრების მიმდინარეობასა, ვაკვირდებოდი კვალათ საზოგადოებას, ვსტდილობდი მათს უფრო ასლად განცნობასა, რომელთა შორის ერთი და ორი გი არა, მომეტებული ნაწილი მსგებობდა ისეთი პირნი, რომელნიც თავიანთის გარეგნობით მართლა და რაღაც მედიდურობის გამომეტეველებს შეიტყავდენ, რომელთაც ნათლათ შეატყობდით, რომ იგინი რაღაც მიუწოდებელ არსებათ წარმოადგენდენ თავიანთ თავებს; გაუგებარის საიამყისაგან

აზგვებუდნი, თითქო მეშვიდე ჰქრიდგან დასტკროდენ სსკა სიკვდილის შვილებსა და თითონაც აღარ იცოდენ, როგორ და რა ხასით გამოეკატნათ მათთვის თავიანთი მიუწოდებელი მედიდურობა!.. მე ამ გვარ ხალხს, უფრო უშიშრათ დაუწვე ტქრან: უფრო ასლა გავიცანი: შეუფარდე მათი ესოდენი საიამყით აზგვება, თვით ესრეთ წოდებულ გონების აზგვებას; საქმის, როგორც თითონ ისინი იკვირდენ ხოლმე, ვითომც დაასლდოვებულ ცოდნასთან, სელის მოვიდება და გავითქვაცა და, რაოდენით უნდა ვყოფილიყავი გავვირვებული, მეთისელო, რომ ეს ვითომც და საზოგადოების მეთაურნი ანუ წარმომადგენელი პირები აღმოჩნდენ კარგი ტკბილ ბლეს მავიერ ძმწარე ბაღღაჯის ბლები! შემდეგ კვალთ მათ შესხედრასედა მოამგონდებოდა ხოლმე ჩემი უმაწვილური შეცდომა, მომკონდებოდა ამასთანვე ის მწარე ბალი, მამი ჩემის სიტყვები — აღარ მოგატყუოს გარეგნობამ — და მწარე და გულ საკლავ ღიმილთან, რამდენჯერმე გავიქეკვდი ხოლმე თავსა და ვსტდილობდი მათს ყოველ უამს გზის აქრევასა.

ასა, თითონ თქვენც ჩაკვირდით, მეთისელო, ჩვენს ესრედ წოდებულ მოწინავე საზოგადოების გვირბეს; ჩავკვირდით მათ თუ სულის, თუ გონების მოძრობასა და დაწმუნდებით თუ არა მათს «ბაღღაჯის ბლესა», თქვენც მოგივით თუ არა პირსედა მომწამლავი ღიმილი და თქვენც ეცდებით თუ არა მათს კვლის აქრევასა — ეს სულ ქვეშ მითხარით შემდეგ.

გელის-ცახელი.



თეატრის

„ღმკმშა“

ძართულ გავხეთს „ივერიას“ (№ 66) სწერენ ეთომც მე რამდენიმე ავადმყოფი ცოფისაგან «გამკსლე-ბანოს». ღილი ტყუილი არის! მე მხოლოდ მოვარჩინე ავადმყოფები, და რაც შეეხება «გასაღებსა», საფრანგეთში არც მე და არც სხვა მისთანა ბარბაროსი არავინ მოიპოვება, რომ აღამიანის სულით ეპკრობდეს და კაცებსა ჰყიდდეს.

ზ.სტერია.



გამოსახუბი

1

ჩვენს ბერძნულ მოვიდენ—
დაღვანიანდენ წავიდენ;
წყალში უნავოთ გავიდენ.

2

ერთი თსა შეავდა ელავო,
ზურგზე კვიდა ესავო;
მისმა სიტყვა და მასუხმა
ქვეყნა შეჯერავო.

3

თსა და ძროსა დამობილდა—
ღორის შუამავლობითა.

4

მატარა კელენწუტაო
კელელზედ მიესკუშაო.

5

ზევით თავი სათიბელა,
ძირსა წყარო სადინელა.

6

ერთი რამე უსულაა,
სულეირისა მშობელი;
შვილსა შობს—ღიდა მოკვდება
ძვირია გამომცნობელი.



წინა გამოცანების ახსნა

1) სიცინათელა. 2) ნავი. 3) ნამგალი. 4) ირ-
მის რქა.

რედქტორი და გამოცემელია გ. ჯანშიძე.

განცხადებანი

ს ტ ა მ ბ ა

მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს ა .

თფილისში—სასახლის ქუჩ., ანწრუნისუღ ქარ-
ვასლანში, ქართული თეატრის ქვემო სართულში.

იღებს ყოველ გვარს სასტამბო საქმეებს საბე-
ჭდავთ: გასკეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-
ვე ყოველგვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სწოტებს,
განცხადებებს, აფიშებს, შირობებს და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის
შესრულებაზე სტამბა შირობას აძლევს საქმის
მომტანთ.

სტამბა ვისრულებს კარტოტეგურის გასწორებას
და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკანას
მომცემნი ისურვებენ.

საუოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი განკეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სივრცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირათბით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალქის, აგრეთვე გარეშე სელის მომწერთათვის ღირს სუთი (5)

მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. სხვა ვადით ზელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.